საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ფრანგული ფილოლოგია / French Philology

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი / Bachelor of Arts in French Philology

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის კოორდინატორი: პროფ. ქეთევან გაბუნია

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
პროგრამის მიზანი:
პროგრამა მიზნად ისახავს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის - ბაკალავრიატის - სტუდენტს მისცეს ფართო და ღრმა ცოდნა ფრანგული ფილოლოგიის სფეროში, რაც გულისხმობს სტუდენტის თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვას მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა და მუშაობისათვის. პროგრამა მოიცავს ენის სისტემის ფუნქციონირების წესების ცოდნას, სამეცნიერო ტერმინოლოგიის დაუფლებას, ფრანგული ფილოლოგიის სფეროში მუშაობის მეთოდების გაცნობას, აუდიო-ვიზუალური და მულტიმედიური მეთოდების გამოყენებას, ფრანგული ენის ცოდნას ევროსაბჭოს უცხოური ენების კომისიის მიერ შემუშავებული (B2) დონის შესაბამისად; ასევე ფრანგული ლიტერატურის მთავარი მხატვრული ტენდენციებისა და სოციოკულტურული განვითარების ძირითადი თავისებურებების ცოდნას.

ბაკალავრიატში შეძენილი ცოდნა ხელს შეუწყობს ცოდნის შემდგომ გაღრმავებას, პროფესიონალურ სრულყოფას და საშუალებას მისცემს სტუდენტს შეძენილი უნარ-ჩვევები გამოიყენოს როგორც კონკრეტულ ქვეყანაში, ასევე საერთაშორისო კონტექსტში.

სწავლის შედეგები:
საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებით:

- ზოგადი ცოდნა რომანული ენების შესახებ. რომანულ ენათა ისტორია. მათი წარმოშობის ისტორიული და ფსიქოლოგიური პირობები. საფრანგეთის, ესპანეთის და იტალიის სახელმწიფოების წარმოქმნა; ფრანგული, ესპანური და იტალიური ენების პერიოდიზაცია, მათი გავრცელების არეალი. ცალკეული თეორიული დისციპლინების წარმოდგენა; სათანადო ტერმინოლოგიებისა და მთავარი მეთოდოლოგიური პრინციპების ცოდნა.
- რომანული ფილოლოგიის ისტორია. რომანული ენების საერთო ლინგვისტური ნიშნების ცოდნა. გლობალიზაცია და რომანული ენები.
- ფრანგული ენის თეორიის პრობლემატიკა, მისი წარმომშობი მექანიზმი მორფოლოგიის, სინტაქსის, სემანტიკის დონეებზე; თანამედროვე ლინგვისტურ მიმართებათა ზოგადი პრინციპების ცოდნა. სტრუქტურალიზმის ძირითადი პრინციპები თანამედროვე ენათმეცნიერების პოზიციიდან. უშუალო შემადგენელთა გრამატიკის, გადაწერის წესების, გენერაციული გრამატიკის, ტრანსფორმაციული გრამატიკის, სემიოზისისა და პრაგმატიკის ძირითადი პრინციპების ცოდნა და გაცნობიერება.
- ფრანგული ენის წარმოშობისა და განვითარების ძირითადი პერიოდების: პრეისტორიული, ძველფრანგული, საშუალფრანგული, და თანამედროვე ანუ კლასიკური ფრანგული ენის პერიოდების ცოდნა, ფონეტიკური, ლექსიკური და გრამატიკული ცვლილებების გათვალისწინებით; თანამედროვე ფრანგული ენის ჩამოყალიბების ლინგვისტური და ექსტრა-ლინგვისტური ფაქტორების გაცნობიერება.
- სიტყვის რაობის, მისი ფუნქციების და მასთან დაკავშირებული პრობლემების ცოდნა.

სიტყვათა ევოლუციის, თანამედროვე ფრანგული ენის ლექსიკური შემადგენლობის, ლექსიკური ერთეულთა ურთიერთმიმართების ცოდნა და გაცნობიერება. ლექსიკური ბადის გამოყენება. ამ დარგში არსებული ლინგვისტური მიდგომებისა და შეხედულებების ცოდნა.

- ფრანგული ენის სტილისტიკის სახასიათო ელემენტების თეორიული ცოდნა; ლინგვო-სტილისტიკის ძირითადი პრობლემატიკის გაცნობიერება. ფრანგული ენის ლექსიკური მარაგის სტილისტური დიფერენციაცია. სტილისტური ხერხებისა და ექსპრესიული საშუალებების ცოდნა. სტილისტური მოვლენების აღქმა-გაანალიზების უნარი ტექსტთან და დისკურსთან მიმართებაში. ლიტერატურული სტილისტიკა. მწერლის მსოფლაღქმა. მისი ესთეტიკური შეხედულებები და ინდივიდუალური სტილი.
- ზოგადი ცოდნა ფრანკოფონიის შესახებ: გავრცელების არეალი, მთავარი ფუძემდებლები; ფრანგულენოვანი ხალხის კულტურა. ლინგვისტური მრავალფეროვნება და ფრანგული ენის როლი, კულტურათაშორისი დიალოგი, საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი როლი ქართულ-ფრანგულ კულტურულ და საგანმანათლებლო სისტემებში.
- ევროპული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციების გაცნობა. ევროპელი მწერლები და მათი შემოქმედება.
- ფილოსოფიის, თეოლოგიის, რელიგიის, ისტორიის ზოგადი ასპექტების ცოდნა და მათი კავშირი ფრანგულ ლიტერატურასთან. კარტეზიანული ფილოსოფია, იანსენიზმი, ეპიკურეიზმი.
- შუა საუკუნეებისა და რენესანსის ძირითადი ტენდენციები, ჟანრები და მხატვრული ტექსტები. კლასიციზმის და ბაროკოს ძირითადი პრინციპების გაცნობიერება და ამ პერიოდის მნიშვნელოვანი ლიტერატურული ტექსტების ანალიზი.
- XIX საუკუნის ძირითადი ეპიკური ტენდენციები: რომანტიზმის, რეალიზმ-ნატურალიზმის, სიმბოლიზმის ზოგადი ასპექტების ცოდნა. მათი კავშირი გერმანულ და ფრანგულ ფილოსოფიასთან, თეოლოგიასთან და ისტორიასთან. ამ ეპოქის მხატვრული ტექსტების გაცნობა და ანალიზი.
- XX საუკუნის ფრანგული ლიტერატურის ძირითადი მიმდინარეოებების, ჟანრების, მხატვრული ტექსტების ცოდნა. ლიტერატურული მოვლენები და ცივილიზაცია. მხატვრული ტექსტების განხილვა.
- ლიტერატურასთან დაკავშირებული მარადიული პრობლემების გაცნობიერება.
- XX საუკუნის ფრანგი მწერლების დრამატული ნაწარმოებების სტრუქტურის, ნაწარმოებში გამოყენებული მხატვრული გამოსახვის ტრადიციული და ნოვატორული ხერხების ცოდნა. “იდეათა თეატრიდან” მოყოლებული ”მზის თეატრამდე” შექმნილი დრამატურგიის მხატვრულ-ესთეტიკური და სტილისტური თავისებურებების გაცნობიერება.
- სამეცნიერო სტატიების რეზუმირება და რეფერირება. აზრის ლაკონურად და გასაგებად გადმოცემა. რეცენზირების მიზნების გათავისება და სამეცნიერო ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების ცოდნა.
- სხვადასხვა ტიპის ტექსტების (მხატვრული, დოკუმენტური, პოლიტიკური, ეკონომიკური, იურიდიული, საქმიანი წერილების) თარგმნის თეორიის ცოდნა და პრაქტიკული განხორციელება
- ყოველდღიური ლექსიკის გაგება და გამოყენება. საუბარი პირად ინტერესებზე. სპონტანური საუბარი ენის მატარებელთან; ენის ცოდნის ისეთი დონე, რომელიც სტუდენტს საშუალებას მისცემს თავისუფლად, გამართულად და ადეკვატურად გამოიყენოს სამეტყველო აქტივობის ყველა სახეობა;
- ენის ნორმატიული გრამატიკის ცოდნა და მრავალმხრივი პრაქტიკული გამოყენება.
- ფრანგულ ენაზე ნებისმიერი ტექსტის კითხვა, თარგმნა, სინთეზი, მხატვრული ტექსტის ანალიზი, რთული კომენტარის შედგენა, თავისუფალი თემის დაწერა, აზრის თავისუფალი და ზუსტი გადმოცემა, ინფორმაციის მოსმენა-კომენტირება, სხვადასხვა

ტიპის წერითი სამუშაოს შესრულება, მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაცია.

- პროფესიული ენის სპეციფიკის სრულად ათვისება, ადეკვატური თარგმანი (ფრანგულიდან ქართულად და პირიქით), რეზუმირება, რეფერირება, კომენტირება, საქმიანი მიმოწერა.
- საფრანგეთის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენების ცოდნა. ქვეყნის პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების მიმოხილვა. ფრანგი ხალხის წეს-ჩვეულებების და ეროვნული ხასიათის თავისებურებების, ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწის ღვაწლის გაცნობა.
- ინეტრნეტ რესურსებისა და მულტიმედიური ტექნიკის გამოყენება/ათვისება ფრანგული ენის შესწავლაში. საფრანგეთის ცხოვრების აქტუალური თემების ირგვლივ საუბარი.

დასაქმების სფეროები:
სასწავლო პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება საკმარისი ცოდნა, კვალიფიკაცია და პრაქტიკული ჩვევები. ის შეძლებს მუშაობას:

1. მთარგმნელობით ბიუროში
2. ტელევიზიაში.
3. სამუზეუმო სფეროში
4. ბიბლიოთეკაში
5. გამომცემლობაში
6. არქივში
7. საელჩოში
8. ნებისმიერი ორგანიზაციის ინფორმაციის და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში.

განათლების მეცნიერებებში ან პედაგოგიკაში დამატებითი (minor) პროგრამის შესრულების შემთხვევაში, კურსდამთავრებულის დასაქმება შესაძლებელი იქნება ზოგად საგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებში.

სწავლის გაგრძელების საშუალება:
საბაკალავრო განათლება საფუძველს შეუქმნის სტუდენტს სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში სპეციალობის მიხედვით, ან აირჩიოს სხვა, მომიჯნავე ან სრულიად განსხვავებული სპეციალობა; მაგალითად, თავსებადია ისეთ სამაგისტრო პროგრამებთან, რომლებიც ეხება საჯარო საქმეთა სფეროს, მართვის სისტემებს და ა.შ. ან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს.

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: მეორე სემესტრი.

პროგრამის მოცულობა: რვა სემესტრი – 240 კრედიტი: 1) ძირითადი პროგრამა - 120 კრედიტი; 2) დამატებითი პროგრამა – 60 კრედიტი; 3) საფაკულტეტო საგნები – 50 კრედიტი; 4) თავისუფალი საგნები – 10 კრედიტი.

შეფასების ზოგადი წესი:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E

41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:
თსუ ბიბლიოთეკა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, რესურს–ცენტრი თსუ მე–2 და მე–5 კორპუსებში.

დამატებითი (minor) პროგრამა

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ფრანგული ენა და ლიტერატურა

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის კოორდინატორი: პროფესორი ქეთევან გაბუნია

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
პროგრამის მიზანი:
დამატებითი (minor) სპეციალობა მიზნად ისახავს ნაწილობრივ სავალდებულო დარგობრივი (ზოგადფილოლოგიური) კომპეტენციების დაუფლებას ძირითადი საბაკალავრო პროგრამიდან –ფრანგული ფილოლოგიიდან. ის უქმნის სტუდენტს დარგის ზოგად საფუძვლებს და უვითარებს დარგის მეთოდოლოგიურ კომპეტენციებს, პრაქტიკულ და პროფესიულ უნარ–ჩვევებს. მისი მიზანია პრაქტიკული ენობრივი კომპეტენციების და დარგის ფარგლებში არსებითი უნარ-ჩვევების შეძენა. იგი უნდა შეესაბამებოდეს ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენობრივი პოლიტიკის ე.წ. «საერთოევრპული რეცეფციული ჩარჩოს» პარამეტრებს, რაც გულისხმობს ენობრივი კომპეტენციის ზრდას A2/B1-დან B2 დონემდე დამატებითი პროგრამის ფარგლებში; ენის პრაქტიული კურსი აღრმავებს ინტერკულტურული ცოდნის კომპეტენციებს.

სწავლის შედეგები:
ბაკალავრიატის დონეზე სტუდენტებს ეძლევათ ისეთი საბაზისო განათლება ენის, ლიტერატურის და კულტურის მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს არჩეული, ძირითადი ფრანგული ენის სისტემურ–ფუნქციონალურ ცოდნას, შეისწავლის მათ ენაზე შექმნილ ლიტერატურას და გააცნობს შესაბამისი ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობას. ბაკალავრიატში მიღებული ცოდნა სტუდენტებს მოამზადებს შეპირისპირებითი კვლევის წარმოებისათვის ენის, ლიტერატურის და კულტურის სფეროებში, ინტერდისციპლინარული, ინტერკულტურული და ინტერპარადიგმული მიდგომის მეთოდოლოგიის გამოყენებით.
ბაკალავრიატის სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მაღალ დონეზე ეცოდინება :

- პრაქტიკული ენა - იგულისხმება სისტემურ-ენობრივი და კომუნიკაციური კომპეტენციები;
- ექნება საბაზისო ცოდნა ენათმეცნიერებაში და ლიტერატურათმცოდნეობაში.
- ექნება კვლევის საწყისი საფეხურის შესაბამისი ჩვევები;
- კურსდამთავრებული იქნება კომპეტენტური ინტერკულტურულ გარემოში;
- იაზროვნებს კრიტიკულად და შეძლებს საკუთარი აზრის დასაბუთებას და წარმოჩენას, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი სახით;
- შეეძლება სწავლის გაგრძელება მაგისტრატურაში რომანული ფილოლოგიის მიმართულებით.

დასაქმების სფეროები:
ბაკალავრიატი მოიცავს ყველა იმ საჭირო მეცნიერულ საფუძვლებს, მეთოდურ და პროფესიაზე ორიენტირებულ კომპეტენციებს, რომელიც კურსდამთავრებულს გაუმარტივებს დასაქმებას შრომის ბაზარზე. სასწავლო მიზნები და კომპეტენციები განისაზღვრება შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად. დამატებითი სპეციალობა – (minor) პროგრამის შესრულების

შემთხვევაში, კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს შემდეგ სფეროებში:

- რადიოსა და ტელევიზიაში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში კორექტორად და კორესპონდენტად.
- გამომცემლობებში კორექტორად, რედაქტორად.
- საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიურ კორპუსში თარჯიმან-რეფერენტად.
- მუზეუმებსა და ტურისტულ ბიუროებში გამყოლად / მეგზურად.
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, არქივები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები და ა.შ., რეფერენტად.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

დამატებით სპეციალობაზე მიღების წინაპირობა

დამატებით პროგრამაზე სასწავლებლად სტუდენტმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ტესტირებაში (გრადაციის ტესტი). ტესტირების შედეგად სტუდენტის ენობრივი კომპეტენცია უნდა შეესაბამებოდეს ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენობრივი პოლიტიკის ე.წ. "საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს" პარამეტრებს, კერძოდ A^{1-}/A^{2} დონეს. ფრანგული ფილოლოგიის დამატებითი სპეციალობის ასაღებად სტუდენტს ძირითად სპეციალობად რომელიმე სხვა ენის პროგრამა არ უნდა ჰქონდეს არჩეული..

პროგრამის მოცულობა: დამატებითი სპეციალობის მოცულობა – 60 კრედიტი.

დამატებითი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა დამატებითი პროფესია აირჩიოს არაუგვიანეს მესამე სემესტრისა.